

1  
1964

№ 16

თბილისი

აპრილი

1964

# ნათელი

გამოცემის 42-ე წელი. ფასი 20 კპ.

ქრონიკული  
გიგლიოთიკა



## ეკლესიის აგენტი

— ხატია თქვენზე გაჯავრებული, გაბჟანი თუ არ უმეცრირეთ, გაისადაც ვერ მოხვდებით უმაღლეს სასწავლებელში

ხატ. ჯ. ლოლუასი



ჩინებულია თბილისის ზღვა... ვინ არ დატყუება მისი ნახვით, ვის არ აუტყუდება გული? აი მოლოდინვე ზღვის ტალღები, აგე მწვანე ხავერდით მოკაზმული ქედები, აი ნაგვალაგ მიწაზე გახარებული ნაძვი და ჭადარი გაიხარებ გახარებულის დანახვით, სურვილი მოგივლის დალოცვისა და არც ამაზე დაგჭირდება შორს წასვლა. აქვია რესტორანი „იორი“ და მისი ფილიალები. შესვალ და თან შეგყვება სასიამოვნო გრძნობა შრომით შექმნილი სილამაზისა. ფიქრებში წასულს უცერად დარდიმანდული სიტყვები გამოგაფხიზლებს:

- მიშა! რვა ბოთლი ოცდასამი!
- მიშა! ყველი და ლიმონათი!
- მიშა! ყველი და მწვანელი! — მეტი რა უნდა კაცის გულს!

იმ დღესაც ასე იყო რესტორან „იორის“ პირველ ფილიალში, სტუმრები ითხოვდნენ და მასპინძლები ემსახურებოდნენ. მიმტანი ბესარიონ ანდრიაძე ჯარასავით ტრიალებდა და მაგიდებს შუა დარბოდა, არც მებუფეტე მიხეილ ხეირანოვი იყო უხეირო ჩახათზე, ხეირის მოლოდინში მრავალნაირ საუზმეს ამზადებდა და თავისებურ ლაჩათსაც ზედ აყოლებდა. იყო ჭუკჭუკი, სიამტკბილობა და საერთო სიამოვნება, საღებრძელო და კეთილი სურვილები, სიმღერა და შედიდინება, ღიმილი და სიცილი. და სწორედ ამ დროს იქნა მოწმენდილ ცაზე.

— ანგარიში! — მოითხოვეს ნაადრევად აშლილმა სრულიად ფხიზელმა მაგიდის წვერებმა.  
— ოცდასამი და ორმოცი კაპიკი, თქვენი ჭირიმე! — იყო მიმტან ანდრიაძის თავაზიანი პასუხი.

- ოცდასამი და ორმოცი? — გაისმა გაცემის ხმა.
- დიას, ბატონო!
- ხომ არ გეშლებათ?
- რასა ბრძანებთ!
- აბა მაშ ანგარიში ქალაღზე დაგვიწერე!
- დაწერე კი, მაგრამ განა ადვილია რესტორანში დაწერა, სიტყვა მფრინავია, ადვილად ამოსატყმელი და ადვილად დასაფიქვებელი. დაწერილი კი, ღმერთმა დაგიფაროს, საბუთია და მერე როგორი! ერთსათიანი პაუზა გამეფდა დარბაზში.
- დაწეროთ?!
- არ დაწეროთ!
- იძულებული ვართ დაწეროთ!
- მერე?
- მერე არ ვიცი.
- საქმეც ის არის, რომ არ იცი.

ერთი საათის შემდეგ მაინც დაიწერა ანგარიში № 493, რომელსაც ბოლოს ჰოი საკვირველებზე, 23 მანეთისა და 40 კაპიკის ნაცვლად მიეწერა 9 მანეთი და 59 კაპიკი.

— რაო?! ანგარიშიო?! — იჭექა მებუფეტე ხეირანოვმა, — თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ აქ ჩემი შავი, ლამაზი თვალებისათვის მიმიღეს?! თქვენ იცით, რომ ბერძენ მიშას მეძახიან, მე თქვენი ასე და ისე... ისე და ასე... — და მოწყდა ხეირანოვის პირს მრავალსართულიანები. შეიყარა ხალხი. კიდევ უფრო აზვირთდა ხეირანოვი.

— თქვე დღის გლახებო, ანგარიშსა გვთხოვთ, ალბათ, ფულის გადახდა არ გინდათ! ანგარიში გინდათ, არა?! გაგისწორებთ! — და ალბათ მიხეილი მკლავს გაშლიდა ანგარიშის გასასწორებლად, რომ იქვე ახლოს, მილიციის სამორიგეოში არ შეეყვანათ.

ნახ. ბ. ფირცხალაშასი



ნახ. 64

— რვაწლიან სკოლას მხოლოდ ექვსო წელიწადია ვაშენებ და კიდევ მისაყვედურებენ მშენებლობას აჭიანურებო?! —

ყველა ხულიგნური მოქმედება რომ ანგარიშგასასწორებელია, მალე დარწმუნდნენ მიმტანი ანდრიაძე და მებუფეტე ხეირანოვი, მათ, სადაც ჯერ არს, იქ წარადგინეს საკუთარი ხელით დაწერილი ეპისტოლე, მაგრამ ვაი ამ დაწერილს!

„შოთი როცა წარუდგინე ფული არ მოუციათ. და დამატებითი მოითხოვეს 4 ჩივი-პივი და სალათა პამიდური 7 პერცია იგივე 493-ზე გამოწერილ მთლიანი შოთი სულ 17-23 კ. როცა ეს წარუდგინე და მოვთხოვე პირველ შოთ რომ უნდა გამეუქმება არ მომცეს და მოთხრეს რომ ჩვენ არ გვიჭამა და მაძღვედნ 9 მ. 59 კ. დაჯდენ ავტობუსში და მიდიოდნენ ფულგადაუხდელად მუფეჩიკმ ხეირანოვმა დაუძახა მილის თანამშრომელს და ავტობუსიდან ჩამოსვა აღნიშნულ მოქალაქეები და წაიყვანა მილიცის სამორიგეოში არ იქ გადახდა ფული მეტი არაფერი ვიცი. მე შევეციდი რომ კაბაროვის ქვეშ არ დავეწერე გინიდან ფულ არ იხდენ და მიდოდნ სიჩარს გამო დამავიწყდა, რომ ისინი არ გაპარულ ყვენ... მე ვარ შემდგარ იმაშა რომ შოთი კაბაროვის ქვეშ არ დავეწერე და ერ ნომერზე გამოვწერე შოთი ვინიდან მოქალაქეები არ გაპარულივენ ფულ გადაუხდელთ.

ჩვენება ჩემი ხელით არს დაწერილი და სწორია ბ. ანდრიაძე.  
24/VI-64 წ.“

აი მათი კრედო, მათი ცოდნისა და განვითარების მარაგი. საიდან მოხვდნენ ისინი საზოგადოების ამ ფაქტზე და სათნო აპარატში? ვის დაავიწყდა მათი წარსული?

როგორც ანდრიაძე, ისე ხეირანოვი ნასამართლევი არიან. როგორ მოხდა, რომ რესტორან „გემოში“ მიმტანი ბესარიონ ანდრიაძე 1963 წელს გაანთავისუფლეს ბრძანება № 79 „ა“-თ და მეორე დღესვე აღადგინეს „ბ“-თ. ვინ იყო ამ საქმეში დაინტერესებული?

როგორ მოხდა, რომ რესტორან „გემოში“ 1963 წელს გალანძღული, მოხსნილი და გასამართლებული მიმტანი ანდრიაძე ნანატრი დახასიათებით, სუფთა შრომის წიგნაკით და ჭუჭყიან, სინდიხით ისევე მიმტანის თანამდებობაზე მიიღეს რესტორან „იორში“?

როგორ მოხდა, რომ 1963 წლის დეკემბერში სასამართლოს მიერ ერთი წლის იძულებითი მუშაობით დასჯილი მიმტანი სასჯელის საერთო წესით მოხდის ნაცვლად დასასვენებლად და საავარაკოდ თბილისის ზღვაზე რესტორან „იორში“ გადავიდა სამუშაოდ!

როგორ მოხდა, რომ ექვსი თვის განმავლობაში არავინ დაინტერესდა დამნაშავენი ბედით და საშუალება მისცა სხვა დანაშაულის ჩადენისათვის! ვის „დაავიწყდა“ განაჩენის შესრულების აუცილებლობა!

როგორ მოხდა, რომ ორჯერ ნასამართლევი მიხეილ ხეირანოვი ტაშის კვრითა და „ვამას“ ძახილით მიიღეს მებუფეტედ რესტორან „იორში“ და თბილად „მოაყუჩეს“ თბილ ადგილზე.

აი კითხვები, რომლებიც პასუხს ელიან.  
პარაზოტი  
აგალოზი

ახლა უკვე ოთხმოცისა ვარ, თუმცა არც ყურთ მაკლია, არც თვალთ, ჯანიც შემრჩა და ღონეც, გულიც მაგარი მაქვს და მუხლიც. მთელი ჩემი ცხოვრება ხალხის სამსახურში გავლიე. პირნათლად მოვიხადე ჩემი მოქალაქეობრივი ვალი.

ამას იმიტომ კი არ მოგახსენებთ, რომ პენსიაზე გასვლა მინდოდეს. არა, ჩემო გვრიტებო! არ მინდა პენსია, დაგიბრდით, მაგრამ როდი დაგიჩაჩანაკდით! ისევ ისე ჯანმავარი, გულმავარი და მუხლმავარი ვარ, როგორც ჯელობაში. მერეა და წუწუნი არ მიყვარს. და ისედაც, კაცმა რომ თქვას, რა მაქვს საწუწუნი. ღუხჭირ დროში დაბადებული, ბედკრული ხალხის ჭირისა და ვარამის მნახველი, ახლა ბედნიერ დროს შევესწარი, სიხარულით გაბადრულ ადამიანთა სახეებს ვხედავ და ცხოვრების ხალხით ვივსები.

მე ხომ ოთხმოცი წლის ცოცხალი მატანე ვარ. საკუთარი თვალებით მიხილავს რამდენი სნეულისა და დავარდნილისათვის დაუდიათ მალამო და წამოუყენებიათ ფეხზე აქ მომუშავე დასტაქართა პლეადებს, კეთილშობილ და გულისხმიერ ადამიანებს.

ჩემზე უკეთ აბა ვინ იცის, როგორი გიგანტური ნაბიჯებით წავიდა მედიცინა წინ. მიხაროდა და მიხარია ყოველივე ეს, მაგრამ...

ხისა ვარ, დიახ, ხისა, თუმცა არც გამოფუტურთვლებად და არც ჭია გამჩენია, ჩემს თანამომძებებს დროდადრო რომ უჩნდებათ ხოლმე, მაგრამ ერთი ადამიანური ჭია მეც მიღრღნის გულს.

ხისა ვარ, დიახ, ხისა, და არა რეზინის და სწორედ ესაა, რომ დარდით მავსებს, თორემ ჩემი ექიმებისა და ექთანების, ჩემი სნეულებისა და მათ

გახსაკურნავად განკუთვნილი ინსტრუმენტებისა და დანადგარების საცოდაობის მნახველი, ალბათ, გავიბერებოდი, გავიბერებოდი უზომოდ, უსაზღვროდ და მანამდე არ მოვისვენებდი. ვიდრე მკურნალობისათვის საჭირო და აუცილებელი პირობების ერთგვარ მინიმუმს არ შევქმნიდი, თორემ რას გავს ეს, ხალხნო და ჯამათნო! თვალი გაახილეთ და გულისყური მოაპყარით აქეთკენ, ჯანმრთელობის სამინისტროს თავკაცები იქნებით ეს, თუ სხვები, ვისაც ეს გეხებათ! აბა რა დამიშვებია, სირცხვილში რომ მაგდებთ! ამდენი ხანი ვემსახურე თქვენს წინაპრებს, თქვენს მამა-პაპათ, თქვენს, თქვენს და-ძმებს, ნაცნობ-მეგობრებს და თანამემამულეებს და ახლა, ამ სიბერეში, გინდათ თავი მომჭრათ? მადლიანი გულისა და ხელის პატრონებო, გულისხმიერნო და გულთმისანნო, გამგებნო და ამგებნო, ისმინეთ თხოვნა ჩემი, ჩემი ნაღვლიანი გულის დაღადისი და თქვენდა და ჩემდა საკეთილდღეოდ და სასახელოდ—ქენით სამამულიშვილო საქმე, განმიკურნეთ სევდა გულისა ესრეთ დამწვარ-დადაგულისა.

მე ბორჯომის ქალაქის საავადმყოფო ვარ. ხისგან ამაგეს და ახლა, გაზრდილ-გაფართოებულ საჭიროებას რომ ვერ გაწვდი, ქვითა და აგურით თითო-ოროლა ოთახი მომაშენეს, მაგრამ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას მაინც ვერა და ვერ ვახერხებ.

რატომ გავიწყდებათ თქვენ, ფრიალ პატივემულნი მედიცინის განმგებელნი და მეთავენო, რომ ბორჯომის მოსახლეობის რიცხვმა ერთი ორად იმატა, რომ დამსვენებელთა რიცხვმა რაღაც ზღაპრული ტემპით იწყო მატება, რომ ყველა კეთილი ადამიანის იმედები, ყვავილები ყვავილთა შორის,

თქვენი პატარები ათასობით ისვენებენ ბორჯომში და ყველა, ვისაც რაიმე სერიოზულად დაუშვდება ან ატივდება, მე უნდა შევიფარო, ჩემმა დასტაქრებმა უნდა განკურნონ.

ღმერთი არ იცით, ხალხნო, ერთციქნა ოთახში 5-6 ავადმყოფი რომ წევს და ერთი მეორეს გულს რომ უწუხებენ, დერეფნები რომ საწოლებითაა ჩახერგილი და გავლა არ ხერხდება, ოქროსხელემა ქირურგებს პინცეტის გასაქნევი ადგილი რომ არა აქვთ, ექთანებს მოსაცდელი, ექიმებს ავადმყოფთა გასასინჯ-მისაღები, მორიგეებს სამორიგეო, რასა ფიქრობთ, ერთი ხეირიანი, თუნდაც ასორმოცდაათადგილიანი საავადმყოფოს აგება რა გაგიჭირდათ? განა წლების მანძილზე არ ითხოვენ ამას საქმეში ჩახედული და ჩემი ვაებით გულშეღონებული ადგილობრივი ხელმძღვანელები?

ქვა, კირი და ცემენტი ვერ იშოვებთ? ხე-ტყე ხომ ჩემს გარშემო თავსაყარია? აბა რა მოხდა, გარჯა გენანებათ, თქვე კარგო კაცებო. ეჭა ღედასა, კაცი რატომ არა ვარ, ჯანი მე არ მაკლია და მონდომება, ჯარასავით დავტრიალდებოდი და ერთ წელიწადში წამოვჭიმავდი სამ ჩემსიდიდე შენობას, ახლებურს, კეთილმოწყობილს. სნეულებსაც შევბას მივცემდი, დასტაქრებსაც და ავადმყოფთა პატრონებსაც. მაგრამ მე ხე ვარ, ქვა და აგური. ჰოდა, თქვენ ითავეთ, ამხანაგებო, შეისმინეთ ჩემი თხოვნა და მერე მეც მიმსახურეთ, ერთ რომელიმე განყოფილებას მეც შევიფარებ და თქვენთან ერთად გავწევ ცხოვრების ჭაპანს.

აბა ჰე, ახლა თქვენ იცით და თქვენმა კარგმა კაცობამ.

**ქალაქ ბორჯომის საავადმყოფოს დამსახურებული შენობა.**

## ბ ე ღ ნ ი მ რ ი ბ ი ლ ე თ ი

ავტობუსი სამოცი კილომეტრის სისწრაფით მიქრის მტკვრის პირას და მე ოლიმპიური სიმშვილით ვზივარ ჩემს მონაგართა შორის. ბუნების სიმშვენიერით გართული ბავშვები ხარბად აცეცებენ თვლებს, იმდენად ხარბად, რომ იმასაც კი ამჩნევენ, თუ რამდენ მგზავრს გამოართვა შოფერმა ფული ხელზე. ერთი მათგანი ითვლის კიდევაც ამ ფულს და ანგარიშობს რამდენ თვეში შეეძლება შოფერ-ძიას სახლის ყიდვა.

წესიერად აღზრდის საკითხს მე ამ რყევა-ნგრევის ძირბებშიც ვერ ვივიწყებ და ვუხსნი ბავშვებს, რომ ეს ფული სახელმწიფოსია და მხოლოდ დროებით ჩადის შოფერის ჯიბეში.

— მა-მი-კომ ტყუი-ლი არ ი-ცის! — სიმღერით მარცვლავს სიტყვებს ჩემი უფროსი ვაჟი და ისე ხმაილა იცინის, რომ მანქანის ხმას ფარავს.

— ნამეტანს ნუ იცინი, შვილიკო, მგზავრობაში ცუდად მაქვს დაცდილი ზედმეტი სიცილი. — შენიშნავს ჩემს ბიჭს მესობოლი მგზავრი, — მანქანას არაფერი გაუფუჭდეს, გზაში არ დავრჩეთ.

მე ჩემს ბილეთს პირდაპირ თვალზე ვაფარებ ცრუმორწმუნე მგზავრს და ვუბნებ:

— თუ აგრეა, აბა შეხედე!

— რას შევხედო?

— ბედნიერი ბილეთი. ხუთით იწყება და ხუთით თავდება. კიდევ მომლობა მანქანა?

— ვა, ეგ შენ შეგხვდა, მე ხომ არ შემხვდა. — ამბობს მესობოლი და ჯერ წინადადება დამთავრებული არა აქვს, რომ მანქანა ერთ მხარეს იხრება, ჯაგლაგი ცხენივით იოჩნებს და ფუფუნით ლევს სულს.

— გამობრძანდით. — ამბობს შოფერი, — აქ ერთ საათს მაინც გავჩერდებით.

და ტრიალ მინდორში, საშურთან ახლოს, იწყება ჯერ მიმდინარე, ხოლო შემდეგ კაპიტალური რემონტი.

გადის ერთი საათი ორი. შოფერი გულმოდგინედ ჩაიკრიკიტებს თავის საქმეს, ხოლო მგზავრები საყუდურების ვარიანტებს ამუშავებენ.

— ეჰ, ვეღარ წავა. — იმედს ბილეთის ფულივით ჰკარგავს ჩემი ცრუმორწმუნე მეზობელი.

— წავა. — ვუბნებები მე.

— მანქანა ვერ წავა, თქვენ თავს თქვენ თვითონ უშველეთ. — ამბობს ბოლოს შოფერი ავტიკოვი და ფეხის ფრჩხილებიდან კისრამდე ტაოტში ამოსვრილი ქვაზე ჯდება.

— დაგვიბრუნე ჩვენი ფული! — ერთხმად იძახიან მგზავრები.

— დალოცვილებო, მე რა, ბანკის ფილიალი ვარ?! — რა ჩვენი საქმეა, ბილეთი თუ მოგვიყიდეთ, ბაკურიანამდე უნდა მიგვიყვანო კიდევაც.

— მე მოგვიყიდეთ ბილეთი?! — ბრანზობს შოფერი.

— სხვა მანქანაზე მაინც დაგვსვი, სახელმწიფო მანქანაზე. ეს ბილეთები ხომ სახელმწიფო დაწესებულებამ მოგვიყიდა. — არ ისვენებენ მგზავრები.

— მე ჩემი მანქანა მაქვს, სხვას თავისი მანქანა, რანაირად! — დინჯად ამბობს შოფერი და ხელს დინჯადვე გვიჩვენებს — თავი დამანებეთ.

— გაუმარჯოს ხალტურას! — იძახის ერთი მგზავრი, გამეღვლ მანქანას აჩერებს და ჩვეიც გვეპატივდება.

ორ მანქანას კიდევ ვიცვლით ბაკურიანამდე, ორჯერ კიდევ ვიხდით მგზავრობისათვის ფულს და ოთხი საათის დაგვიანებით ჩავდივართ დანიშნულ ადგილას.

მე კი ახლაც ხელში მიჭირავს 26 ივლისით დათარიღებული ჩემი „ბედნიერი ბილეთი“ და გუნებაში ვფიქრობ: სახელმწიფო ორგანიზაციას ნუთუ ამაზე მეტი პასუხისმგებლობა არ უნდა გააჩნდეს? მინდორში დარჩენილ მგზავრს განა რა შედავასთს აძლევს ბილეთის ღირებულებიდან დარჩენილი გზის საფასურის უკან დაბრუნება, რომელიც დებულებით არის გათვალისწინებული და რომელსაც მგზავრს ფაქტიურად არავინ უბრუნებს?

რაკი მეცსრამეტე საუკუნეში აღარ ვცხოვრობთ, ხომ არ აჯობებს, რომ ავტოსადგურს რაიმე თანამედროვე ტექნიკის შესაფერი გაადვილებული კავშირი ჰქონდეს გზაზე გასულ მანქანასთან და ბედის ანაბარად მიტოვებულ მგზავრებს სხვა, ახალი მანქანით ესმარებოდეს?

რატომ არ უნდა შევიდეს წესდებაში ისეთი მუხლი, რომელიც გზაში დარჩენილ მგზავრს, მორიგი გამგლევი მანქანით, ადგილამდე, ფეხზე მდგომარეს მაინც გადაიყვანს?

**ბ. ივანიშვილი**



ზოგიერთი სარამონტო კანტორის მიერ გამოვყავული საპარტიველოს რუკა.

ბენედიქტუს მანქანა

ბენედიქტე ჩემს მეზობლად ცხოვრობს. დერეფანიც საერთო გვაქვს და სამზარეულოც, მხოლოდ დღემდე, საერთოდ, საერთო ენა ვერ გამოვქებინეთ. ბენედიქტეს წარმატება ცხოვრებაში მალონებს და ნერვებს მიშლის, თუქცა გარეგნულად ამას ვერ მამჩნევინ, ქულის მოშვლება და ღიმილით მისალმება ჩვენს შორის ჩვეულებრივი მოვლენაა. ვინ მოვა მასთან, ვინ წავა, რას ილაპარაკებენ, თუ არ შევიტყვევ, ავად გავხდები. როგორც კი ხმამალა დაილაპარაკებენ, მაშინვე ყურები უნდა დავცქვიტო პონტერის ჯიშის ძალივით, რომელმაც კურდღლის კვალს მიაგნო. ვუსმენ და, თუ ვიღიმი, ეს იმას ნიშნავს, რომ ცოლი და ქმარი წაიკნაკნავენ, მაგრამ თუ ვიბღვირები, ან სიმწრით თითებს ვიმტვრევ, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მტრედებვით ტკბილად დღუღუნებენ. იმ დღესაც ჩვეულებრივ ყურები დავცქვიტე და მოსასმენად მოვემზადე, მაგრამ ძალიან ხმადაბლად ლაპარაკობდნენ და კარგად არ მესმოდა, თუმცა რაც მოვისმინე, ისიც საკმარისი აღმოჩნდა ჩემი ნერვების ასაფორიაქებლად. ბენედიქტეს მეუღლემ სამჯერ ასვენა მანქანა და ბენედიქტემაც სამჯერვე უთხრა, ცოტაც მოითმინე, ჩემო ფისუნია, და ვიყიდო. იმ ღამეს ძილი არ მომკარგებია: — ვაი, შენ ჩემო თავო, ბენედიქტე დაფეხვილმა მანქანით უნდა ისერიროს, შენ სიცხისაგან აღუღებელი ასფალტის სუნმა დაგახრჩოს! ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით მეორე დღესვე მოედო მეუღლე ევოს ახალი ამბავი: — გაიგეთ, ბენედიქტე მანქანას ყიდულობს! მეზობლებში ჩურჩული ატყდა: — რა გზით!.. — რა საშუალებით!.. — რა თანხით!.. — კითხულობდნენ მეზობლები, კვერს ვუკრავდი მეც და გული ბოღმით მევსებოდა. საღამო ხანს სამსახურიდან დაბრუნებულ ბენედიქტეს მეზობლებმა ალყა შემოარტყეს და მანქანის ყიდვა მიულოცეს, თან ვკითხვობდნენ „ვოლგა“ თუ „მოსკვიჩი“. ბენედიქტე ერთ ხანს გაოგნებული იდგა, მერე გულიანად გაიციხა და მთელი ხმით დამეყვილა: — შე აბაღლო, ყურები შპალერვით რომ გაქვს სულ ერთთავად აკრული კედელზე და გვისმენ, ვერ გაიგე, რომ ჩემი ფისუნია სარეცის მანქანაზე მელაპარაკებოდა!.. გაგზობი, აღარ ვიცოდი, რა მეტყვა, რა გზას დავდგომოდი. ბენედიქტე კი იცი-ნოდა, იცინოდნენ მეზობლებიც და ზიზღით შემომტკეპროდნენ. სამწუხარო, მაგრამ ტკუის სასწავლი ამბავია. ვისწავლი კი ჭკუას?.

შ. მარმარაშვილი

ამირანი ფეთიანივით შემოვარდა სახლში და ქლოშინით ამოტყვა: — ხვალ, სამ საათზე ბიძაჩემი პლატონი მიემგზავრება საიქიოს. ეს-ეს არის დამირტყეს, გამოსამშვიდობებლად ჩამოდიო. შენ ხომ ვერ წამომყვები?— მომმართა ბიძაშვილმა. — მოიცა, ჭერ ეს გამაგებინე, „საიქიოს გამგზავრება“ რას ნიშნავს?— შევეკითხე მე. — რას ნიშნავს და იმას, რომ მოკვდება, ჩა-ასვენებენ კუბოში და წაიღებენ სასაფლაოზე. — გაუგებარია. — რა არის აქ გაუგებარი?— გაცხარდა ამირანი. — ბიძა პლატონს მოუყვდა უფროსი ძმა, რომელიც 82 წლის იყო. პლატონ ბიძია კი 72 წლისაა; გასულ კვირას სიწმარში გამოცხადებია ანდრია ანგელოზის სახით და უთქვამს: — პლატონ, მომავალ კვირას, დღის სამ საათზე, მოკვდები და პირდაპირ სამოთხეში ამოყოფ თავსო. ხვალ დასვენების დღეა. წაუსვლელობა უხერხულია, კაცი მეზობლებთან ხომ არ მიდის, რომ საღამოს უკან დაბრუნდეს! — ამისხნა ამირანი. — კი, მარა, პლატონ ბიძიამ სიმართლედ მიიღო ანდრიას სიტყვები? — აბა რა გგონია შენ? ბიძაჩემი მთავი ცხოვრობს. საზოგადოება „ცოდნა“ ყოველდღე კი არ უტარებს ლექცია-საუბრებს ათეისტურ თემაზე. — განგებ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ამბობს ამირანი. ... როგორც იყო, მეორედღლით მივადწინეთ ბიძია პლატონის მთაკორტოხზე წამოდგმულ სახლს. ირგვლივ წარმტაცი ბუნებაა. მე, სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა, რატომ უჩქარება პლატონ ბიძიას იმქვეყნიურ სამოთხეში მოხვედრა, როცა აქ ნამდვილ სამოთხეში ცხოვრობს?! შევედივართ თვალისჩინივით მოვლილ ეზოში. მშვენიერი ოდასახლი ვადაპყურებს ვენახს, დაფნარს, ხეხილს ბაღს. ეზოს ჩუხჩუხა წყარო ჩამოედის. ჩიტები საამურად ჭიკჭიკებენ. ერთი სიტყვით, უკეთესი კარმიდამო ძნელი წარმოსადგენია... შევედით განიერ ოთახში. მეზობელი ოთახებიდან ხალხის ხმადაბლი ლაპარაკი ისმის. ყველაზე დიდ ოთახში, განიერ საწოლზე წვეს გულხელდაკრფილი ბიძია პლატონი, როგორც ეს საიქიოში წაბსვლელს მოეთხოვება. ირგვლივ ხანთლები ციმციმებენ... საწოლის გვერდით უშველელი კუბო დგას. — გამარჯობა, ბიძია პლატონ!— მხიარულად მიესალმა ამირანი. — როგორაა საქმე? — კაი ქენი, ამ დღლით რომ ამოხვედი, თორემ ცოცხალს ვერ მომიწრებდი!— მიკვანებულ-ლი ხმით უპასუხა პლატონმა. — როდის მიემგზავრები სამოთხეში, ბიძია პლატონ?— გააგრძელა ინტერვიუს მიღება ამირანი. — სამი საათისათვის, როგორც ჩემმა ძმამ ანდრიამ მიბრძანა... ჩვენ კუბოს გადავხედეთ. — წაბლის ხისა! — თავმომწონედ განმიმართა მომავლავმა. — თქვენ თვითონ გააკეთეთ? — აბა ვინ გამიკეთებდა, ოღონდ, ცოტა ღრმა გამომივიდა. რომ ჩამდებენ, არც კი გამოვჩნდები. — არა უშავს, რამეს ჩავიფენო. — დაამშვი-და მოხუცი ამირანი. — სიგრძე როგორია? — მოვიზომე, კარგია. — აბა ყველაფერი რიგზე ყოფილა! სამ საათამდე ჭერ ბევრი დრო გვაქვს... მე, ბიძია პლატონ, შამანური ამოვიტანე, გზა უნდა დაგილოცოთ და გამოსამშვიდობებელი დავლიოთ. — რად გინდოდა, რავა, მე ჩემი ღვინო ცო-ტა მაქვს თუ? მართლა, ერთი კასრი წადა თოფი შენ უნდა დაგიტოვო! — ანდრია... — მადლობელი ვარ, ბიძაჩემი პლატონი წახვდები. — შამანური იმითომ წამოვიღე უმისოდ სამოთხეში არავის ღებულს. — არა, მაგის შესახებ ანდრიას არი არ უთქვამს. — როგორც გინდოდას, მე კი, როგორც ყვარელი დისშვილი, შენ მაგივრად ვვლივ, ეგებ პეტრე მოციქულმა შეგინდო რამე ცოდვა მიგიძღვის ამ ქვეყნად. ამირანიმა განჩინიდან ჭიკჭიკი გამოიღა. მშანურის ბოთლს საცობი ხმაურით აიჭა და შუშუნა ღვინით სასმისები შეაღ- — ზეცის ძალნო, მისმინეთ! თქვენს-არგულეზში მობრძანდება ჩემი საყვარელი ბიძა პლატონი. იგი ყოველად წესიერი დი-ოსანი კაცი იყო. რა გაუტეხებიათ? — დღიან ხელმეხ: ვენახი თუ ბაღი, ყანა, ა-ნი. სხვისი თუ თავისი? საკომმერულად საქარმიდამო მიწაზე დაუღალავად შრდა. არა, ტყუილად არ უცოცხლია ანდრია ბი-ძია პლატონს. მართალია მას ერთი ცოლი-უძღვის თქვენს წინაშე, ზეცისა და ბუნ-ღონო, იგი მუდამ თავისი ხელით დედ ღვინოს სვამდა და არასოდეს არ გავს „შამანური“. — დაეცა ქადაგად ამირა- — მოიტა, ბიჭო, მაგ რაცხა შლახია თუ ჯანდაბა... ასე არ აჯობებს? რადა-ღლიო ჩემს მაგივრად? — დროზე შეაწყვი-ბიძა პლატონმა, თორემ, ვინ იცის, კიდევ-ენ სისულელეს წამოროშავდა ამირანი. — ნურას უკაცრავად, ბიძია პლატონ! — შამანური მაგიდასთან უნდა დაილო-ამის თქმა და სასიკვდილოდ გამწალი პლატონის წამოხტომა ერთი იყო. ის სე-ბის ამარა მოუჭდა საუფრას. — ძირამდე, ძირამდე დაცაფე, ბიძარ უსვენებდა ამირანი. პლატონმა საუღმოსოქმელად გალა-უშველელი ჭიქა და მეორე ჭიქისებ უკვე ლოყები შეუფაკლდა. — კაი ღვინო ყოფილა, მე და ჩემ-რთმა! — დაასვენა მეოთხე ჭიქის შემ-ამირანიმა მესხეთე ბოთლი ვახსნა და სა-ლე სამეულმა „დიდა ვოი ნანა“ შემოქ-მეზობელი ოთახებიდან წამდაუწუმ მი-ბოდნენ ამ სურათით გახალისებულ-გაპალი შინაურები და ნათესავები. პლატონის ცოლმა საწოლები ჩააქრო. — აბა, ახლა ჩემი ღვინო გამოითხე-ნე. — მიმართა ცოლს შეჭიქილებულ-ცვალებულმა. — არც უმისოდ შემოქ-მოსხეში. — აუწინა ხმას ბიძაჩემმა. დანიშნული სამი საათისათვის აღარ კია პლატონ ბიძიას და მაგრად ჩაეძინა. ნ-ეძინა და მხოლოდ შუაღამოსას წამოხტი-ნიდან. მიხედ-მოიხედა. — ბიჭოს! არ გა-რვარ. — ჩაილაპარაკა თავისთვის. მეო-ხიდან ხალხის მხიარული ჟრიაში უ... — როგორც ჩანს, უფალმა არ მომ-ამ სიტყვებით შემოვიდა მოხუცი ჩემ- — რასაკვირველია, ანგელოზი მოგზა-რომ დაინახა გეძინა, ბიძაჩემო, მარ-ისურვა, ჩვენი „სასწრაფო დახმარ-იყოს, და უკან გაბრუნდა. — არა უშავს, ანდრია კიდევ გა-დება, წესიერი კაცია... მას შემდეგ რვა წელიწადი გავიდა. ი-არ გამოჩენილა. მისი უმცროსი ძმა პლა-ალარ ფიქრობს საიქიოზე: ხეხილის სა-ღი გააშენა, მუშაობს რაც შეუძლია. ში-მანურსაც წრუბავს ხშირ-ხშირად. შემთხვევისათვის.



— დიდი მადლობელი ვარ, ჩემო ვარდენ, რომ ასეთი ბრწყინვალე თამალობა გასწიე და პატივი ეცი ჩემს სტუმრებს!

### რატომ ვსუქვები

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ჩემი მეორე ნახევარი ნახევარ პურს შუაზე ჭრის და კარაქის სქელ ფენას ლავაშივით აკრავს ზედ-სუთი წლის გურამი ფეხებს იატაკზე აბრახუნებს და ყელში თოკწაჭერილივით სრიალებს.

— არ ვჭამ... არა?!

— აჭამე! — მაძლევს მითითებას ჩემი მეუღლე და სამსახურში დაგვიანებული კაბის გამოსაცვლელად მეორე ოთახში გარბის.

მე კარაქიან პურს ხელში ვატრიალებ და თან მუხ-ლებზე დარქილი ვეფეწვები:

— ჭამე! შემობრალე, სომ იცი მისი ამბავი!

— არ ვჭამ!

— რა ქნა?! — ისმის მეორე ოთახიდან.

— არ ჭამს!

— არ ჭამს და მოვალ, ძველებურად მოგივლით. — ბუსუსებს მაყრის, წარსული სცენები მაგონდება და შეციებულივით ვცახცახებ, გურამს ხელიდან ვგლეჯ პურს, ინდურულივით პირში ვიტენი და სულმოუთქმე-ლი ვყვირი:

— შეჭამა... შეჭამა...

მეუღლის გაავებული სმა საამურად ტკბება და იშაქრება.

— ასლა წვნიანი აჭამე!

წვნიანი სავე მეორე ჯამს წყალივით ვსვამ და „პაკრიშკასავით“ ვიბერები. გურამი მთვარესავით იბადრება. მე ღრუბელივით ვიღუშები.

— გაათავა?

— გაათავა! — ვუდასტურებ ჩემს მეუღლეს და უკანასკნელ კოვზს პირში ვიღებ.

მეორე ოთახიდან გამოსული ასალ კაბაში გამოწყობილი მეუღლე თავზე ხელს მისვამს და შუბლზე მკოცნის.

— ამ ბოლო დროს საკმაოდ გამოსწორდი, ვარლამ, ნერვებიც დაგიმშვიდდა და აკი ამიტომაც გასუქდი.

— გასუქდი, როგორ არ გასუქდებოდი. — ვამბობ გაჯავრებული და ბალიშივით გადმოვარდნილ მუცელს უკმაყოფილოდ დავეყურებ.

### 3. მამუკალაშვილი

### მხიარულ ვაღლაზა

— ეს რა, უკვე გაგითავდა სამსახური?!

— არა, გამანთავისუფლეს!

— ახე ადრე?!

— რაღა ადრეა, ქალო, ორი კვირის საგამოცდლო ვა-და მქონდა!

— : —

— რამ დაგალონა, მეგობარო?

— სიღიდრმა მაწყენინა, სულ იმას ჩასჩინებს ჩემს ცოლს, შენი ქმარი, რამდენიც ზევითაა, ორი იმდენი მიწაშიაო!

— მერე შენი ცოლი არაფერს ამბობს?!

— როგორ არა, ნეტა სულ მიწაში იყოსო!

ბრ. ჩიქვილაძე

### რკინა-პაგვილის მალაზიაში


— როგორ შეიძლება შაბიამანის მიღება?

— სულ უბრალოდ: გოგირდმუვასა და სპილენძის, ან სპილენძის უანგეულების ურთიერთმოქმედებით.

— შეე შეძენაზე ვამბობ.

— ო, ეგ უფრო რთულ მანიპულაციას მოითხოვს.

ბ. ბასილიანი



— გასაკვირია, ბაღებს მოხსნეს რკინის ღობეები და ქუჩებს უკეთებენ?!



პარტიზანი-ფუტბრები

სამხრეთ ვიეტნამში ტანად დიდი და ძალზე ბრახიანი ფუტბრები იცის. 6-7 ასეთი ფუტბრის კბენას შეუძლია მოკლას მოზრდილი ადამიანი. ისინი თავს არ იძლევიან, მაგრამ... მედგრად იბრძვიან საიგონელი დამსჯელი რაზმების წინააღმდეგ. საიგონელთა ერთ-ერთი ასეთი თარეშის დროს გლეხებმა ფუტბრები მოიშველიეს და მტერს კუდიტ ქვა ასროლინეს.




ლოიალური მოკალაქე

იტალიელი მოქალაქე ვინმე უმბერტო ვალე საპყრობილედან გაიქცა ხელეშებორკილი. რამდენიმე ხნის შემდეგ ციხის ადმინისტრაციის სახელზე ყოფილმა ტუსაღმა ამახანათი გამოაგზავნა, რაშიც ხელბორკილებთან ერთად წერილიც გასულ. წერილში იმაზე იყო ლაპარაკი, რომ: „...ის მოქალაქე უმბერტო ვალე, იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც არ შესწევთ უნარი მიითვისონ სახელმწიფო ქონება“.




სენატორი შეიკაზმა თოვითა და ჯინჯილით...

სენატორმა გოლდვოტერმა, რომელიც რესპუბლიკურმა პარტიამ პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა აშშ პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში, განაცხადა, რომ, თუ მას აირჩევენ პრეზიდენტად, ის მიაღწევდა სრულ გამარჯვებას ცივ ომში. ამაზე სენატორმა ფულბრაიტმა უპასუხა, რომ სრული გამარჯვება შეიძლება მოიპოვოთ მხოლოდ... ფეხბურთის მოედანზე.



გასამრჯელოდ ავტობრავი

ერთ 80 წლის სახელგანთქმულ ამერიკელ კომპოზიტორს, ეკლესიაში, აღსარების დროს პასტორმა ავტობრავი მოსთხოვა, სამაგიეროდ ცოდვების მოხსნას შეჰპირდა. ამის შემდეგ განრისხებულმა კომპოზიტორმა ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა რელიგიასთან და ათეიზმის გზას დაადგა.



ვაი „ხელოვნებისაგან“

ეგრეთ წოდებულმა „პოპ-ხელოვნებამ“, რომელიც აბსტრაქციონიზმის ახალ სახეობას წარმოადგენს, მუსიკაშიც გაიდგა ფესვები. ვინმე ამერიკელი „პოპ-მუსიკოსი“ ჯონ კეიჯი პიანინოს კლავიატურას ამუშავებს ორგანიზმის იმ ადგილით, რომელიც მხოლოდ დასაჯდომადაა განკუთვნილი.

ამბაკო მედიდურად გადახედა მეზობლებს და რინინად თქვა — გადასასურავი არ გამაგონრთ, მაგრამ რიტის რძე არ გვაკლდეს, მეორედ კი არ მოკვდებოდე დაჩემი!

ვდუკის გაუის სილიბისტროს წინადადება ყველას მოეწონა, თუმცა დაკრძალვის ახალი წესის გამოცდლება ჯერ არავის ჰქონდა. დაადგინეს: ვასოთა მატარაძე ქუთაისში წასულიყო, დაეგეჭა მოსაწვევი ბარათები და წარწერები „გთხოვთ გვირგვინებს ნუ მოიტანთ“, წამოსვლისას ერთი მონტიორი და რადიომექანიკოსი წამოეყვანა უზოს ელექტრო და რადიოფიცირებისათვის. თეოფილა ლოთის მეთაურობით ექვსი კაცი მიაგლინეს ბაღდათს ღვინის შემოსაზიდად, ხოლო სამი ქუთაისის შავი სამოსელის შესაძენად. ...დილიდან ტრიალებდა ჩოფურა ვალოდა „პოვარი“ კარგების უკან სახელდახელოდ აშენებულ სამზარეულოში.

სამზარეულოში დროდრო ამბაკო ან სილიბისტრო შემოიჭრებოდა, ვალოდა „პოვარს“ მხარზე ხელს დაკარავდა: აბა, შენ იცი, ახლა არ შეგვარცხვინო და მერე ჩვენ ვიცითო... რადიოფიცირებულ ეზოსა და კარმიდამოში დილიდანვე გაისმოდა სამგლოვიარო მელოდიები. ნაშუადღევს ხალხმა იმატა. მოდიოდნენ გვეუთიდან, პატრიკეთიდან, მესხეთიდან, გვიშტიბიდან მხარდამშვენიებული მოყვრები, ზოგს მთელი სოფელი წამოეყვანა. მოდიოდნენ მხიარულები, გაწყვილები; სახლთან მოახლოებისას ქალები თმებს იჩეჩავდნენ, კვიცილით შემოდგამდნენ ფეხს ეზოში, მაგრამ ადებული ნოტები პირში უქვავდებოდათ.

— უიმი, ბენა, დასწვევლოს ღმერთმა, ამას რას ვხედავ, რადიოს გამოთვა დაევიწყებოთ, ეს რავე მოუვიდა ამბაკოს!... ძმები ფეხზე დგომით ჩამოწყდნენ და... თითოთითოდ დატოვეს თათანი. — აბა ერთი სამადლობელი, სამადლობელი დაგვილიე, სიტყვა გვითხარი! — შესძახა ძმებს თამადამ. ბოლოს შეზარბოშებული, გრძობამორეული ძმებიც ჩიუროდნენ სუფრას...

შემწინველად მოიპარებოდა ღამე, მაგრამ მისთვის ვის უცალა. შესანდობარს შესანდობარი მისდევდა, თამადამ ვეღარ გაუძლო ხალხმრავალ სუფრას და, ამბაკოს გულის მოსაკლავად, გატანილ იქნა. ახალმა თამადამ ახალი კანონები მოიტანა, ჩაის ჭიქები პატარა ღრეხვა და თასით უკუდავყო ელუკის სსოვნა. — შენ გეზაცვალე მე სულში და გულში! — გასძახოდა ამბაკო თამადას და მხრებს სიამოვნებით იჩეჩავდა.

— აბა, „მუსიკანტებს“ არაფერი შემოაკლოთ!... გამოცოცხლება „მუსიკანტებსაც“ დაეტყოთ, რეჟივში შორს გადადეს, ჯერ ხალხური სიმღერები წამოიწყეს და, ბოლოს, განსვენებული ედუკის „ზანური ხალხური სიმღერებითა“ და გიტარების მექანიკური გოდებით დაუტკბეს სმენა. თამადა სიტყვამრავალი აღმოჩნდა.

— მთვრალია ეს გადასაშენებელი, მთვრალი. ვინ სიკვდილმა დასვა თამადად? — ბრახობდნენ ქალები. — ალავერდი შენთან, ამბაკოს ვენაცვალე, და ქეყო ამის ღირსი დედაშენი, შენ რომ უყვარდი, ბიჭო, დედაშენს... ასე იტყოდა, ამბაკო პირველი შვილია, პირველი სისხარული, მას შემოევილოს დედამისის სიცოცხლეო!

— რაო, კაცო, რას ბოდავ, ჩვენ არ ვუყვარდით დედაჩვენს? — ერთხმად მიაყვირეს თამადას სევასტიმ და სილიბისტრომ. — არა, რატომ არა, მაგრამ, სუ... ამბაკო სხვააო!... — ნურას უკაცრავად და... შენ ჩემი ნაბოლარა ხარ, ჩემი მიწის მიმბარებელი, ასე მეტყოდა დედაჩემი, — თავი ინუგეშა სილიბისტრომ. — რაო, რაო? — წამოიტრა ზევე სევასტიმ, — მამე ვილა ვყოფილვარ, მე გიჩვენებთ თქვენს!... სევასტი ძმებს მივარდა, მუშტებით დაერია. ატყდა ქალების კვიცილი, წივილი. სუფრაზე მჯდომნი წამოიზაღნენ, ძმებს ჩაუდგნენ შუაში.

— თქვე ძალოს შვილებო, თქვენა, თქვენი დედა... — იგინებოდა სევასტი და ძმებისაკენ მიიწვედა. ორიოდ ფხიზელი კიდე მოიძებნა სტუმარ-მასპინძელს შორის, მათ შეკრეს სევასტი, ლოგინზე დაადგეს და მერე ამბაკოს და სილიბისტროს მისცვივდნენ, რომლებსაც მაინც ვერ გაერკვიათ, რომელი უფრო უყვარდა ედუკის.


თამადა ჯიუტად გასძახოდა: — ამბაკო სხვააო, ამბაკო... რამდენიმე ქალმა, ივანიკამ, პარმენამ და ფეხზე ძლივს მდგომმა მძლომა მიწას მიიბარეს ედუკის ცხედარი, უკან ფეხით დაბრუნდნენ, — ეშმაკმა უწყის, ისეთი მთვრალია ვე ბიჭი, სადმე არ გადაგყვაროსო.



დაუმთავრებელი აბაზანები

გლდანის ქ. №11-ში მაცხოვრებლებს ახალაშენებულ სახლში ჰქონდათ სააბაზანო. მართალია, შეშით ათბობდნენ, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყვნენ.

მოვიდნენ და ნახეს, რომ შეშით ათბობდნენ აბაზანას, შეიცხადეს, ეს რა ჩამორჩენილი ხალხი ყოფილხართ, თბილისში გაზი ტყუილად გამოგვიყვანიაო! დროს რომ თავი დავანებოთ. შეშის პობა მაინც არ გეზარებათ? რა ჯობია გაზზე მოწყობილ აბაზანას. ჩართავ და იმ წუთში თბილი წყალი მზად გექნებათ საბანაოდო.



მკირფასო მთარგმნელად

გაიხარეს ამ წინადადებით. როგორც მოგეხსენებათ, ეს ახალი საუწყებოა და მისმა ძეგლობელმა დაწესებულებამ ხელშეკრულება დაუდო გაზის გამოყვანის შესახებ ინჟინერის №3 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს (მმართველი მაისაშვილი). ეს იყო ა. წ. თებერვალში. ხელშეკრულებით სამუშაო უნდა დამთავრებულიყო პირველი მაისისათვის, მაგრამ დღემდე ელოდებიან მათთვის სანატრელ გაზზე მოწყობილ აბაზანებს. როგორც იტყვიან, „ცული არ გვაკადრეს და კარგი არ გვაღირესო“. ვფიქრობთ, ნიანგის აბაზანები მოუხდება ინჟინერის №3 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მესვეურებს!

ადამიანს სახელი ჰქვია, ფილმსაც ჰქვია სახელი. ადამიანს დროდარო სახელს უცვლიან — ხან მოფერებით, ხან დაცინვით. ასე მაგალითად, თუ ვინმეს მთელი დღე და მოსწრება პანტე ჰქვია და დიდი თანამდებობა მისცეს, ერთბაშად პანტელეიმონად გარდაიქმნება, ალე — ალექსანდრედ, დიტო — დიმიტრით.

ერთ პროვინციულ ქალაქში ვაიფესბურთელი იყო, ზაზა ერქვა, ბურთი მოწინააღმდეგის კარის ნაცვლად, საკუთარ კარში გაჰქონდა და ზარალ-ზაზა არქვეს.



მაგრამ თურმე ნუ იტყვით, კინოფილმებსაც შეიძლება შეუცვალოთ სახელი. ზესტაფონის რკინიგზის კლუბში (გამგე რეზო გაბრიაძე) კინოფილმი „Дорогой предков“-ს სახელი რუსულად ასე შეუცვალეს: „Дорогой предков“. და რაკი რუსული გვარები 08-ზე მთავრდება, „предков“ გვარად მიიღეს და კინოფილმი „წინაპრების გზით“-ის სახელწოდება ასე თარგმნეს: „ძვირფასო პრედკოვ“.

აი თარგმანიც ასეთი უნდა! აი შედგური!

სხენებულ მთარგმნელს რომ ეთარგმნა კინოფილმი „Дорога на эшафот“-ის სახელწოდება. აი რას მიიღებდა:


„ძვირფასო, ეშაფოტზე!“

ეშაფოტისთვის ვერ გაიმიტებოთ, მაგრამ ეს კია, სხენებული მთარგმნელი კაცმა კლუბს მაინც არ უნდა გააკაროს.




ესთეტიკური ღობე

თბილისის ბაღებს მძიმე ტვირთი მოაშორეს, რკინის ღობეები მოხსნეს. მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგიერთებს ჯერ კიდევ წონათ ბაღების „უღობოდ დატოვება“ და ასეთი ესთეტიკურად მაღალი გემოვნებით გაფორმებული „ღობე“ გაუტკთეს 26 კომუნარის სახელობის ბაღს ჯორჯიაშვილის ქუჩის მხრიდან.



ყველაზე ახალი „ტბა“


ყველა იცნობს თბილისის მახლობლად მდებარე ლისისა და კუს ტბებს, მაგრამ ამ სურათზე გადაღებულია ამ ორ ტბას შორის მდებარე სრულიად ახალი „ტბა“, რომელიც ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე №45 სახლის მიდამოებში გაჩნდა. ტბას ზრდის შესანიშნავი პერსპექტივები აქვს, რადგან უხვად მარაგდება როგორც წვიმის, ისე გახეთქილი მიწებიდან გამოსული წყლით.



306 ბაზონისთვის

მკითხველებმა ეს სურათი რაიონიდან გამოგვიგზავნეს და გვთხოვეს გამოვიცნოთ, რომელი ქალაქის შესასვლელ გზაზე დადგმული ეს ორი ასოსაგან შემდგარი რაიონული ცენტრის „დასახლება“. მეტად ძნელი ამოცანაა და ამიტომ გვინდა ისევ მკითხველები დაგვეხმარონ მის გადაწყვეტაში.

გთხოვთ გვაცნობოთ ასეთი „წარწერა“ მართლა რომელიმე რაიონის სახელწოდებას აღნიშნავს, თუ ხუმრობასთან გვაქვს საქმე?



რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Няньги“. ოქტ-ქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, ხაერთო განყოფილების—8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 15/VIII-1964 წ. კაღ. ზომა 70x108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კ. ც. გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 2171. უფ 05990. ტირაჟი 40000

64-659

ИНДЕКС 76137

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

წყალბადის ბომბის ათვისება საფრან-  
გეთს დაუჭრებდა უდიდესი თანხა... 90  
მილიარდი ახალი ფრანკი.



ახალი ეიზენშტაის კოზაკი  
და გოლის პროექტით.



ნახ. ვ. ლომიძე